

# თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №79

ქ. ბათუმი „ 24 “ აპრილი, 2014 წელი

### საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით გამოიყოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქ. ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის შენობა, მდებარე ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53/გრიბოედოვის ქ. N1;

ბ) ბათუმის საზაფხულო თეატრის შენობა, მდებარე ქ. ბათუმის ბულვარში.

2. წინამდებარე განკარგულების შესახებ ეცნობოს N79-ე ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჩავლეიშვილი